ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. ბათუმი **2019 წლის 31 იანვარი**
11[00] საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
დიმიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების “ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების “ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატალია ძიძიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების “ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აპარატის უფროსი - ნ. დეკანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი -
- ე. ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მ. მეტრეველი;
- ა(ა)იპ -„საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - ს. ევგენიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მ. ქიძინიძე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 4 იანვარს ბათუმში, ძლიერი ქარის დროს მიღებული ტრამვების შედეგად სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი იოსებ შერვაშიძე, რომელიც იყო კარგი თანამშრომელი, მეგობარი და კარგი მამა. საკრებულოს წევრებმა მწუხარება გამოთქვეს მომხდარის გამო და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

2. „2019 წლისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი
ეგარსლან ლომაძე)

4 „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი
ეგარსლან ლომაძე)

5. „ქალაქ ბთუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი
ეგარსლან ლომაძე)

6 „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში გარე ვაჭრობის თემატური გეგმის შესამუშავებლად გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი
ეგარსლან ლომაძე)

7. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის
სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

8. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი", ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა" ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

9. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

10. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

/მომხს: ნატალია ზოიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადებების ოქმის სახით გადაგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ თუ ხალხის არჩეულის, საკრებულოს წევრის სიტყვას ფასი არ ექნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიმართ, მაშინ იძულებული გახდება სხვა კუთხით დააყენოს ქალაქის მნიშვნელოვანი პრობლემები. ის განმეორებით აჟღერებს საკითხებს, კერძოდ, თამა-

რის დასახლებაში ტრანსპორტთან დაკავშირებით, თამარის დასახლებიდან ბონის მიმართულებით ათასობით ადამიანი გადაადგილდება, ამ ტერიტორიაზე მუშაობდა სამარშრუტო მიკროავტობუსი №27, რომელიც გააუქმეს, ახლა დანიშნეს №29, რომელიც გადატვირთულია და ხალხი გამოთქვამს უკმაყოფილებას. ბათუმის მერიიდან არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები, რომელიც მიუღებელია. ასევე თამარის დასახლებაში ქუჩების ნაწილი ჩაბნელებულია, რომელიც ტექნიკურ ხარვეზთანაა დაკავშირებული. ბათუმის ტერიტორიაზე მრავლსართულიან სახლებში დამონტაჟებულია წყლის შადრევნები, რაზედაც მოსახლეობასთან არ დადებულა ხელშეკრულება გადასახადის თაობაზე, დღეს კი 200-300-მდე ოჯახია აღწერილი და მოსახლეობის მიმართ გამაფრთხილებელი წერილია გადაცემული, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმები დაეკისრებათ. აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობასთან არ ყოფილა შეთანხმება. მერიის შესაბამის სამსახურებს მიმართა თხოვნით, რომ აღნიშნულ საკითხებზე მოხდეს დროული რეაგირება.

სხდომის თვმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პრობლემები რამდენჯერმე დაისვა და თხოვნით მიმართა საკრებულოს აპარატს უზრუნველყოს შემდგომი სხდომისთვის წერილობითი პასუხი ან მერიის შესაბამისი სამსახურების მოწვევა პასუხის გასაცემად.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამაზრზენია და საშიში დემოკრატიის განვითარებისათვის, მისთვის ყველაზე მიუღებელი პოლიტიკოსია ეკა ბესელია, მაგრამ იმ მეთოდებით ბრძოლა, რასაც ეწევა ხელისუფლება არის დაუშვებელი. ეს უფრო შემაშფოთებელი და მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე დღეს განსახილველი საკითხები. ის, როგორც რიგითი მოქალაქე, საკრებულოს წევრი მოუწოდებს ხელისუფლებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას, რომ დაუყოვნებლივ იქნას რეაგირება და გამოძიებული ეს საკითხები. მან ასევე აღნიშნა, რომ ქალაქის ერთ-ერთი პრობლემაა-პარკირების საკითხი, 2010 წლის დადგენილებაში განსაზღვრულია, რომ პარკირების ადგილებზე უნდა განთავსდეს შესაბამისი ნიშნები და ფასიანი დგომის შესახებ ბანერი. დადგენილების შესაბამისად, ქალაქში კონტროლი უნდა განხორციელდეს შესრულების თაობაზე.

საკრებულოს წევრი დ. ჭეიშვილი უერთდება მ. ქამადაძეს და აღნიშნა, რომ გამოძიება მიმდინარეობს, აყვანილია კონტროლზე და იმედია აუცილებლად დადგება შედეგი. ეკა ბესელია განსხვავებული აზრის მქონეა, მაგრამ კმაყოფილია ყველა შეხვედრისა. ასევე მას მოსწონს, რომ საკრებულოშიც ჩნდება განსხვავებული აზრი, მსჯელობის შედეგად მიიღება კონკრეტული პასუხი.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა ახალაშენებული მშენებლობების თაობაზე, რომ გარე ფასადების შემინვის გამო ერთ-ერთი სახლიდან ჩამოცვივდა მინები. მან მიმართა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურს მოახდინოს რეაგირება ხარისხზე.

საკრებულოს წევრმა ნ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ მისთვის შეურაცხმყოფელია მ. ქამადაძის მიერ გაკეთებული განცხადება. ფრაქციის ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების“ მიერ 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე წარმოდგენილი შენიშვნები მერიამ კონსტრუქციულად გაითვალისწინა და დამტკიცდა. კერძოდ, საბავშვო ბაღების მშენებლობის, ინფრასტრუქტურული პროექტები, განათლების საკითხები და.ა.შ.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება, ასევე გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გარდამავალი ფულადი სახსრების ნაშთი.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 7,675.2 ათასი ლარით, არ იცვლება შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი.

პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

დანართი თან ერთვის.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ დასვა შეკითხვები ანგისის დასახლების I,II,III შესახვევებში და აფსაროსის I,II,III შესახვევებში კანალიზაციისა და ინფრასტრუქტურის თაობაზე, რაზედაც ს. ევგენიძემ აღნიშნა, რომ KFW -ის პროექტით ხდება საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება, ამის შემდგომ ბიუჯეტით მოხდება გათვალისწინება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის.

საკრებულოს წევრმა დ. მახარაძემ დასვა შეკითხვა ,,ბათუმობის“ დღესასწაულის თარიღის გადმოტანის თაობაზე, რაზედაც აღნიშნა, რომ კარგი იყო ბათუმობის ჩატარება შემოდგომაზე, ტურისტული სეზონის დროს, დღეს კი საუბარია ბათუმობის დღესასწაულის ჩატარება 28 აპრილს. რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დადგინდა 28 აპრილი, ტურისტული სეზონის პერიოდში ბევრი ღო-

ნისძიებებია დაგეგმილი.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში არის რიგი საკითხები, რაზედაც მხარს უჭერს, თუმცა არასწორი ხედვაა, რადგან ჭაობის დასახლებაში ელექტროსადენები ცუდ მდგომარეობაშია, თუმცა განვითარებულ ქვეყნებში პარალელურად ხდება ქუჩების რეაბილიტაციის და ელექტროსადენების მოწესრიგება. ასევე არ არის შესრულებული საფერხმალო ხიდის მშენებლობის საკითხი. ფრაქციისთვის მიუღებელია, რადგან ბიუჯეტის 80% ვერ შესრულდება, ამდენად, წარმოდგენილ სამართლებრივ აქტს მხარს არ უჭერს.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 2 (მ. ქამადაძე, რ. ზოიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. „2019 წლისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსაზღვრა, რომელთა საერთო ჯამური ღირებულება 1, 446,365 ლარს შეადგენს. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების მიღება დაგეგმილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან. პროექტი ითვალისწინებს რესურსების გადანაწილებას სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 3 (ა. დევაძე, რ. ზოიძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი- ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებებს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება.

თავის მხრივ, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი, ხოლო პრივატიზაციის გეგმა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის საფუძველზე შედგენილი გეგმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტის დასახელების, მდებარეობის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, აუქციონის ფორმის (უპირობო ან პირობებიანი), აუქციონის შემდგომ

მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ.

"ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებით დამტკიცებულია:

ა) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტთა ნუსხა", რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 21 საპრივატიზებო ობიექტი;

ბ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა", რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 21 პრივატიზების გეგმაში შემავალი ობიექტი (უძრავი ქონება);

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, საპრივატიზებო მოძრავი ობიექტების ნუსხა, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 1 ობიექტი (ავტოსატრანსპორტო საშუალება);

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მოძრავი ობიექტების პრივატიზების გეგმა, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 1 პრივატიზების გეგმაში შემავალი ობიექტი (ავტოსატრანსპორტო საშუალება);

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ობიექტების პრივატიზება შესაძლებელია განხორციელდეს მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთების განვითარების მიზნით, შესაბამისად განიხილება შემდეგი შეზღუდვის დაწესება: „მშენებლობის უფლების გარეშე" ან/და ზონისათვის დასაშვები ობიექტის მშენებლობა-ფუნქციონირების პირობით.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ნ. ძიძიგურმა დასვა შეკითხვა საპრივატიზაციო ნუსხით წარმოდგენილი პატარა ფართების თაობაზე, კერძოდ მოსახლეობის მხრიდან არ გამოიწვიოს საფრთხე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ საკრებულოს სხდომამდე კონკრეტული მიწის ნაკვეთების განხილვისას მერია ახორციელებს შესწავლას, ყველა სამსახურიდან გამოთხოვნილია ინფორმაცია მიწის ნაკვეთების მდგომარეობის შესახებ, ანუ ის რისკი, რომელიც ხვალ და ზეგ პრობლემას წარმოშობს ამ კონკრეტულ ნაკვეთებზე მინიმუმამდეა დაყვანილი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 2 (დ. მახარაძე, რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **4 „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ჯი ფლორას“ შორის 2015 წლის 04 სექტემბერს დადებული იქნა ,,ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სასყიდლიანი იჯარის უფლებით სარგებლობაში გაცემის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, შპს ,,ჯი ფლორას“ იჯარის უფლებით 05 წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: ა)ქ. ბათუმში მელიქიშვილის ქუჩაზე პარკის მიმდებარედ ტროტუარი 11.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ბ)ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე მდებარე 10.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; გ) ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 11.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; დ) ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ.№3ა-ს მოპირდაპირე ტროტუარში მდებარე 10.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ე) ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე 10.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ვ) ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე (მართლმადიდებლური ეკლესიის მიმდებარე ტროტუარი) მდებარე 10.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ზ) ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე (ელიტ-ელექტრონიქსის მიმდებარე ტროტუარი) მდებარე 10.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; თ) ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე (სკვერი) მდებარე 10.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ი) ქ. ბათუმში, მარჯანიშვილის/ზ. გორგილაძის/დ. თავდადებულის და ლუკა ასათიანის ქუჩების კვეთაში (სკვერი) მდებარე 10.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; იჯარის საზღაური განისაზღვრა 6 600,00 ლარით წელიწადში, რომლის გადახდა უნდა განხორციელებულიყო კალენდარული წლის 01 ივნისამდე და 01 დეკემბრამდე. ამასთან, ხელშეკრულების იჯარის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთის გამოყენებისას ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებებად განისაზღვრა იჯარის უფლების მქონე პირის მიერ სარგებლობაში გადაცემულ თითოეულ მიწის ნაკვეთზე, იჯარის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 02 (ორი) თვის ვადაში, ქ.

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან წინასწარ შეთანხმებული არქიტექტურული იერსახის ყვავილების სარეალიზაციო ჯიხურების განთავსების ვალდებულება.

ქ. ბათუმის მერიას წერილობით მომართა ერთ-ერთმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა ყვავილების სარეალიზაციო ჯიხურების განთავსებაზე და ამ მიზნით ითხოვა მიწის ნაკვეთების ელექტრონულ აუქციონზე გატანა. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით მტკიცდება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასური, სულ 7 ობიექტი, რომელთა იჯარით სარგებლობაში ერთ ლოტად განკარგვაზე იგეგმება ელექტრონული აუქციონის გამოცხადება, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან წინასწარ შეთანხმებული არქიტექტურული იერსახის ყვავილების სარეალიზაციო ჯიხურების განთავსების ვალდებულების პირობით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 2 (დ. მახარაძე, რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 1 (მ. ქამადაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 10 იანვარს წარედგინა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 09 იანვრის წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 3150,00 (სამიათას ასორმოცდაათი) ლარის საერთო საბალანსო ღირებულების 3 ერთეული „ZONDA BUS“ მარკის ავტობუსის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

1.1 სარეგისტრაციო ნომერი ASI956; საიდენტიფიკაციო ნომერი LYJD6CFB18W001810; გამოშვების წელი 2008; საბალანსო ღირებულება 1050,00 (ერთი ათას ორმოცდაათი) ლარი;

1.2 სარეგისტრაციო ნომერი ASI948; საიდენტიფიკაციო ნომერი LYJD6CFB28W001802; გამოშვების წელი 2008; საბალანსო ღირებულება 1050,00 (ერთი ათას ორმოცდაათი) ლარი;

1.3 სარეგისტრაციო ნომერი ASI950; საიდენტიფიკაციო ნომერი LYJD6CFB68W001804; გამოშვების წელი 2008; საბალანსო ღირებულება 1050,00 (ერთი ათას ორმოცდაათი) ლარი.

2. ეთხოვოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1 (დ. მახარაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი -2(რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)
არ მიიღო მონაწილეობა - 1(მ. ქამადაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **6 „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში გარე ვაჭრობის თემატური გეგმის შესამუშავებლად გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნის საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების ფართო შესაძლებლობებს. საზოგადოების ცხოვრების სოციალ-ეკონომიკური განვითარება და სრულიად ახლებურ პირობებზე რეორიენტაცია, მუნიციპალური თვითმმართველი ქალაქების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ითვლება. თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა და მომსახურება, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო, რეგულირდება ,,თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტში არსებული ხარვეზების გამო სრულად ვერ ხერხდებოდა სასურველი შედეგების მიღწევა. უწინარესად სავაჭრო ობიექტების გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილების და მისამართების ნაკლები სიზუსტე, საზოგადოებრივი სივრცეების პარამეტრების დაუდგენლობა. დიდად ვერც სანებართვო პირობების დარღვევისათვის არსებული რეგულაციები ცვლის სიტუაციას და მდგომარეობას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი საქონლისა და სერვისების ნომენკლატურის განახლება-გაფართოება, გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება, მომსახურების კულტურის ამაღლება. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი იქნება ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში არქიტექტურული იერსახისა და ექსტერიული მხარის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1 (დ. მახარაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **7. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო შპს ,,ალიანს სიტი''-ს (ს/კ N445548694) მოთხოვნის საფუძველზე. საკითხი ეხება რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე შპს ,,ბათუმი სიტი''-ს (ს/კN404885371) საკუთრებაში არსებულ საკადასტრო კოდზე (საკადასტრო კოდი:№ 05.23.04.021) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება საპროექტო ტერიტორია, რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე, მოიცავს ერთ საკადასტრო ერთეულს, მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:№ 05.23.04.021). მოცემული ტერიტორია განეკუთვნება საცხოვრებელ ზონას, სადაც დასაშვებია აღნიშნული ზონისათვის შესაბამისი შენობა-ნაგებობების განთავსება.

,,ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგუ-

ლირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს არსებულ მიწის ნაკვეთზე შეჩერებული მშენებლობის ახალი საპროექტო წინადადებით განვითარებას, არსებული შენობის შესაძლო დემონტაჟს და მიწის ნაკვეთზე ახალი თანამედროვე მრავალფუნქციური კომპლექსის, სასტუმროს, სასტუმრო-აპარტამენტების, საცურაო აუზების, ლაუნჯების საოფისე ფართების, მაღაზიების, რესტორნების, ტურისტული და სპორტული ობიექტების დაპროექტებას.

მიწისქვეშა სივრცეში ასევე დაგეგმილია ავტოსადგომიის არანაკლებ 450 მანქანაზე მოწყობა.

სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2019 წელს და სავარაუდოდ დასრულდება 2023 წელს. მშენებლობის პროცესში დასაქმდება არანაკლებ 500 საქართველოს მოქალაქე, ხოლო პროექტში განხორციელდება არანაკლებ 250 000 000 ლარის ინვესტიცია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საინვესტიციო წინადადებით დაგეგმილი მშენებლობა ფუნქციურად შეესაბამება საზოგადოებრივ-საქმიან ზონას, ზონის ცვლილების თაობაზე მოთხოვნა ასევე გაკეთებულია წარმოდგენილ განაცხადში.

განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) დამუშავებაზე თანხმობა გაცემულია მიწის ნაკვეთის და შენობის დღევანდელი მესაკუთრის მიერ და თან ახლავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნი საკითხია და კარგია, რომ რაიმე გაკეთდება, მაგრამ საინტერესოა რა გაკეთდება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მოცემული ტერიტორია განეკუთვნება საცხოვრებელ ზონას, სადაც დასაშვებია შესაბამისი შენობა-ნაგებობის განთავსება. ამჯერად კომპანია, რომელიც მესაკუთრესთან შეთანხმებით ახალი მშენებლობის განხორციელებას გეგმავს, მიწის ნაკვეთზე ზონის სტატუსის შეცვლას და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსის მინიჭებას ითხოვს.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ წამოყენა წინადადება ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე წარმოდგენილი იქნას პრეზენტაცია, რადგან კითხვები არ გაჩნდეს საკითხის ირგვლივ.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ დასვა შეკითხვა ზონის შეცვლასთან და სართულიანობასთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია დამტკიცდეს გენგეგმარებითი დავალება, რაც გულისხმობს არსებულ მიწის ნაკვეთზე შეჩე-

რებული მშენებლობის ახალი საპროექტო წინადადებით განვითარებას. არსებული შენობის შესაძლო დემონტაჟს და ტერიტორიაზე თანამედროვე მრავალფუნქციური კომპლექსის სასტუმროს აპარტამენტების საცურაო აუზის ლაუნჯის, საოფისე ფართების, მაღაზიების, რესტორნების, სპორტული ობიექტების დაპროექტებას. მიწისქვეშა სივრცეში კი დაგეგმილია 450 მანქანაზე ავტოსადგომის მოწყობა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ნებისმიერი ადამიანი ასეთი განცხადების შემოტანისას ვალდებულია საკრებულოს სხდომამდე გააკეთოს პრეზენტაცია დაინტერესებული პირებისათვის და საკრებულოსთვის.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 3 (რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე, მ. ქამადაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

8. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი", ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა" ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსისა“ და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილების შესაბამისად, მიზანშე-

წონილია დამტკიცდეს: ა) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუ-ჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი“, ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“, თანდართული დებულება

ბ) განაცხადისა და აპლიკაციის თანდართული ფორმა (დანართი 2).

გ) პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმა (დანართი 3).

1. ღონისძიების მიზანია განათლების, კულტურის, სპორტისა (არაპროფესი-ული) და ახალგაზრდობის სფეროში ინიციატივების წახალისება, არსებული პოტენციალის სრული რეალიზება და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობების გაფართოება.

2. ღონისძიება ითვალისწინებს ახალგაზრდული მიმართულებით ინიცირებული საუკეთესო პროექტების გამოვლენას და ავტორთა/ბენეფიციართა შერჩევას შემდეგი მიმართულებებით:

2.1 განათლებისა და კულტურის ხელშეწყობა / მხარდაჭერა / წახალისება / სტიმულირება;

2.2 სპორტი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, პოპულარიზაცია;

2.3 ახალგაზრდობის სფერო (ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით);

2.4 სოციალური მეწარმეობის (ახალგაზრდა მეწარმეთა) ხელშეწყობა (სოციალურად დაუცველთა, შშმ პირთა, უსინათლოთა დასაქმება, ახალგაზრდა გამომგონებელთა ხელშეწყობა);

2.5 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (მ.შ. სპორტული ტურიზმი (ფეხით მოგზაურობა, საწყლოსნო (ტივი, ნავი, კანოე, კაიაკი, ბაიდარი, ჯომარდობა), სამთო-სათხილამურო, ველოსიპედით, ასევე, აგროტურიზმი, ბიზნესტურიზმი (მ.შ. ტურისტული ბიზნეს ფორუმი), გამოფენა - გაყიდვები (ხალხური რეწვის ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების და სხვა);

2.6 ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების წახალისება (პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა, ახალგაზრდა მეცნიერები, ეკოლოგია და გარემოს დაცვა და ა.შ.);

და სხვა პროექტები (საზოგადოებრივ, კულტურულ - საგანმანათლებლო და პოლიტიკურ საქმიანობაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობების წახალისება, სტიმულირება, ხელშეწყობა და მხარდაჭერა).

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 2 (დ. მახარაძე, ლ. სირაბიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

9. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილების შესაბამისად, მიზანშეწონილია დამტკიცდეს: ა) ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დებულება'', (დანართი 1). ბ) განაცხადისა და აპლიკაციის თანდართული ფორმა (დანართი 2); გ) პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმა (დანართი 3). ქვეპროგრამის მიზანია ხელოვნების (თეატრი, მუსიკა, ქორეოგრაფია, ლიტერატურა (დრამატურგია, პოეზია, პროზა), კინომატოგრაფია (დოკუმენტური კინო, ანიმაციური ფილმები, მხატვრული კინო), ფოტოხელოვნება, მოქანდაკეობა (სკულპტურა), ხუროთმოძღვრება (არქიტექტურა), მხატვრობა) განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ბათუმის, როგორც კულტურული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის პოპულარიზაცია, რეკლამირება.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თანაბარი შესაძლებლობებისა და განვითარების პირობების დაწესებას, საუკეთესო ინიციატივების (პროექტების) გამოვლენას, ავტორთა/ბენეფიციართა შერჩევას, მათ მხარდაჭერას, ხელშეწყობას, სტიმულირებას, წახალისებას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდნენ: 1 (მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **10. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/-სამეცნიერო პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი
მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილების შესაბამისად, მიზანშეწონილია დამტკიცდეს: ა) ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“ ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო/სამეცნიერო პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დებულება“ (დანართი 1). ბ) განაცხადისა და აპლიკაციის თანდართული ფორმა (დანართი 2). კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში მოღვაწე შემოქმედთა მხარდაჭერა და სტიმულირება, წახალისება, პროფესიული განვითარებისა და ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდნენ: 1 (მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი
მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 28 ივნისიდან ძალაშია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების სტრატეგიული განვიტარების გეგმა რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებას. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისას აღნიშნულ სფეროებში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით, სამსახურის ორგანიზებით გაიმართა საჯარო შეხვედრები შესაბამისი სფეროს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ზემოხსენებული შეხვედრების შედეგების ანალიზი გახდა დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტების ხედვის, მისიის, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის საფუძველი. პოლიტიკის დოკუმენტები ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. პოლიტიკის დოკუმენტების სამუშაო ვერსიების შემუშავების შემდეგ განხორციელდა დოკუმენტების საჯარო პრეზენტაცია. გაიმართა შეხვედრები შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებთან. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების განათლების პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია შემდეგი 5 სტრატეგიული მიმართულება:

1. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება;
2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
3. ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
4. საგანანმანათლებლო ტურიზმის განვითარება;
5. ადამიანური კაპიტალის განვითარება.

დარგობრივი პოლიტიკის დოკუმენტებში სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად განსაზღვრულია განსახორციელებელი ღონიძიებები, პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები, მიზნობრივი ჯგუფები, ჩართული მხარეები და შედეგების შეფასების ინდიკატორები. დოკუმენტები მოიცავენ 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმებს.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდნენ: 1 (მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენ-დერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბა-თუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკა-რგულების პროექტი**

/მომხს: ნატალია ზოიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტით წარმოდგენილი მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა უკავშირდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მე-13 მუხლის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №77 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, თანახმად დანართისა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1 (მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს ვადასტურებ:	რ. ბოლქვაძე	—	საკრებულოს აპარატის უფროსი
ვიზირებულია:	ს. შვენთიძე -		საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი
	მ. თურმანიძე		საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი
ოქმი შეადგინა:	მ. წულუკიძე	—	საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი